ა (ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

07.05.2012 №47

თბილისი

სტუ-ს მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის
დირექტორის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2012 წლის 20 აპრილის სხდომის №2 ოქმის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსი.
2. კონსურსი ჩატარდეს 2012 წლის 31 მაისს.
3. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2012 წლის 08 მაისს და დასრულდეს 2012 წლის 25 მაისს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის შენობაში, მისამართზე: თბილისი, ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის მე-2 შესახვევი №19, 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
4. დანართი №1-ს შესაბამისად დამტკიცდეს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.
5. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

ა) განაცხადი საარჩევნო კომისიის სამდივნოს სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) უმაღლესი განათლების და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი საბუთების ასლები;

დ) ინსტიტუტის განვითარების ხედვა – სამოქმედო პროგრამა.